

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №427

2019 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით (ვებგვერდი, 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017230) დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „3“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით წარედგინება შემოსავლების სამსახურსა და სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს.“.

მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებამდე სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ დადასტურებული და უარყოფილი „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინებები“ ინარჩუნებს იურიდიულ ძალას შესაბამის საქონელთან მიმართებაში.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

